ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №31

22.09.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. ნინო წულაძე - კომისიის წევრი;
7. ბარბარა ჯიმელი სულაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032326258-03; 19.09.2023).**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის სხდომა ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2023 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით. კერძოდ, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები 9 459,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გრანტების ნაწილში უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 130,0 ათასი ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 9 459,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 833 083,6 ათას ლარს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 5 000,0 ათასი ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 660,3 ათასი ლარით;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 6 631,5 ათასი ლარით;
- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (10 48) - 6 000,0 ათასი ლარით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 695 289,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 635 189,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი 109 380,8 ათასი ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-032326258-03; 19.09.2023) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03230451-03; 14.02.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე